



**შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო
უნივერსიტეტის**

**უმაღლესი განათლების ფაკულტეტის მოქმედ
საგანმანათლებლო პროგრამის სტრატეგიული
დაგეგმარების ანალიზი**

**სტუდენტების, დამსაქმებლის, აკადემიური პერსონალის
გამოკითხვის შედეგები და მატერიალური რესურსების
შეფასება**

2018-2019 სასწავლო წელი

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის შესაფასებლად იყენებს SWOT-ანალიზს:

სტრატეგიული დაგეგმარება შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიის შეფასებისა და შემუშავების პროცესის მთავარი ვექტორია. სწორი სტრატეგიის შემუშავებისათვის მთავარი ფაქტორები არსებული სიტუაციისა და საფრთხეების ანალიზი და მათი გათვალისწინებით, დასახული მიზნების მისაღწევად, კონკრეტული ამოცანების დასახვაა. სიტუაციის ანალიზის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტის შიგნით არსებული ღირებულებების, რესურსების, ხედვებისა და მიზნების სწორად მიმართვა, სასწავლო უნივერსიტეტის გრძელვადიან პერიოდში წარმატებული არსებობის გარანტია.

რაში ვიყენებთ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას SWOT-ანალიზს:

- სხვა არსებულ მეთოდებს შორის, რომლებიც აფასებს შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მდგომარეობას, ყველაზე მეტად მისაღებია SWOT-ანალიზის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ჩვენი შესაძლებლობების და საქმიანი გარემოს შესწავლა არის შესაძლებელი.
- SWOT ანალიზის დახმარებით შესაძლებელია:
 1. შევაფასოთ საკუთარი ძლიერი მხარეები;
 2. გამოვყოთ სუსტი მხარეები;
 3. გარემო შესაძლებლობები, რომლებიც აქამდე არ გაგვიანალიზებია;
 4. ორგანიზაციის შესაძლებლობები;
 5. ვიცოდეთ იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც გარემოდან გვემუქრება.
- **SWOT-ი** ინგლისურ აბრევიატურას წარმოადგენს, რომლის ყოველი ასო ანალიზის ცალკეულ ელემენტს აღნიშნავს:
 - S - strengths** (ორგანიზაციის ძლიერი მხარე);
 - W - weakness** (ორგანიზაციის სუსტი მხარე);
 - O - opportunities** (ორგანიზაციის შესაძლებლობები);
 - T - threates** (მოსალოდნელი საფრთხე).

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე SWOT-ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა საგანმანათლებლო პროგრამების ძლიერი და სუსტი მხარეების, საქმიანი გარემოს შესწავლა.

ანალიზი არის ხერხი, რომლის მეშვეობითაც ჩვენი შესაძლებლობების და საქმიანი გარემოს შესწავლა არის შესაძლებელი.

1. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა-გამოკითხვა 7
2. სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი--გამოკითხვა 25
3. სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარი სტუდენტებისთვის--გამოკითხვა 40
4. ლექტორის და კურსის შეფასების კითხვარი-გამოკითხვა 33
5. ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი- გამოკითხვა 25
6. სულ აქტიური სტუდენტების რაოდენობა - 228 სტუდენტი, გამოკითხვა 130 სტუდენტი

ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა - გამოკითხვა 70 სტუდენტი 30
ლექტორი

ინგლ. თეოლოგია პროგრამა -გამოკითხვა 23 სტუდენტი 10 ლექტორი
სტომატოლოგიის პროგრამაზე - გამოკითხვა 37 სტუდენტი 10 ლექტორი
სამართლის პროგრამა -გამოკითხვა 5 აკადემიური პერსონალი.

აგრეთვე ჩატარდა შრომითი ბაზრის კვლევა და გაანალიზებული იქნა შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მისი მნიშვნელობა.

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე

დასკვნა:

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი ორიენტირებულია რეალური და მიღწევადი მიზნების დასახვა-რეალიზაციაზე. საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი კურსები ასახავს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების მეთოდოკასა და იმ დადებით ტენდენციებს, რაც პროგრამებს შინაარსობრივად გააჩნია. საგანმანათლებლო პროგრამების, სტრუქტურა და სილაბუსები შედგენილია ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე ტენდენციებისა და თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს მომავალ სპეციალისტებს, წარმატებით განახორციელოს პროფესიული საქმიანობა.

წარმოდგენილი მოდიფიცირებული პროგრამები არის უფრო მოქნილი და მობილური. მასში გათვალისწინებულია სტუდენტის გადმოსვლისას ყველა ის პრობლემები, რა შეიძლება განპირობებული იყოს დამატებითი კრედიტების წარმოქმნასთან, სხვადასხვა უნივერსიტეტების მოქმედი პროგრამების კურსების არ აღიარებასთან. რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს იყოს

ორიენტირებული მისი მომავალი დასაქმებისა და დამსაქმებლის საჭიროებებზე , შრომის ბაზრის თანამედრვე მოთხოვნების ადეკვატურად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორი არამდგრადია და გლობალიზაციის ფონზე ინტეგრირებულია ევროპულ და მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. ეს გამოწვევა ზრდის მოთხოვნას მაღალ კვალიფიციურებულ სპეციალისტებზე , როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან. უმაღლესი განათლების ბაზრის კონიუნქტურული კვლევები ნათელი მაგალითია იმისა, რომ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნადია კვლავაც. საერთო მაკროეკონომიკური პრობლემების ფონზე, როდესაც გადახდისუნარიანი მოთხოვნა თითქმის ყველა საბაზრო სეგმენტზე მცირდება . შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი სთავაზობს ბაზარს მის მიერ მოთხოვნილი კონკურენტუნარიან პროგრამებს, შეღავათიან ფასად , ანუ პროდუქტს, რომლის ხარისხიც ფასზე მაღალია.

საგანმანათლებლო პროგრამები სათანადო ყურადღებას უთმობს პრაქტიკის კომპონენტის გათვალისწინებას, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, გააცნობიეროს დარგის სპეციფიკა და მნიშვნელობა, გაითავისოს არჩეული პროფესიის არსი, გამოავლინოს აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა, კერძოდ, მოახდინოს რეალურ სამუშაო გარემოში ცოდნის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმა, თეორიული ცოდნის პრაქტიკული აპლიკაცია.

ძლიერი მხარეები

- პროგრამების შემუშავებაში ჩართული დამსაქმებლები და მაღალკვალიფიციური აკადემიური და მონვეული პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები; სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში ;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესაბამისობა აკრედიტაციის განახლებულ სტანდარტებთან ;
- პროგრამების გამართული სტრუქტურა:
- სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შესატყვისობა;
- თავისუფალი კრედიტები;
- პროგრამების სტრუქტურის ფართო სპექტრი, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს მისი სურვილის მიხედვით აირჩიოს სასწავლო კურსი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მოქნილი სისტემა;
- სასწავლო პროცესის განვითარებისთვის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები / ხელშეკრულებები;
- სასწავლო კამპუსების მოსახერხებელი ადგილმდებარეობა;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საპროფესორო, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საკონფერენციო დარბაზი, უახლესი დარგობრივი ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, ინტერნეტში და საბიბლიოთეკო ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასი;
- პროგრამის განხორციელებისას სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება.

სუსტი მხარეები

- უცხოურ სასწავლებლებთან გაცვლითი პროგრამების ნაკლებობა;
- სტუდენტთა კონტინგენტი;

განვითარების შესაძლებლობები

- პოტენციურ დამსაქმებელთა აქტიური ჩართვა მომავალი კურსდამთავრებულთა შრომით მონაწილეობაში;
- მონაწილეობა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში;
- სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, კვლევითი ცენტრების აქტიურ თაბაში გადასვლა;
- უცხოელი სპეციალისტების მოწვევა სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიზნით;
- უნივერსიტეტის მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა;
- პრაქტიკის ობიექტებთან მჭიდრო თანამშრომლობის გაძლიერება და დამსაქმებელთა ჩართულობის გაძლიერება პროგრამების გაუმჯობესებაში;
- კონფერენციებსა და ტრენინგებში სტუდენტების მონაწილეობის გაზრდა;
- შერეული სწავლების კომპონენტის დანერგვა;
- ახალგაზრდა კადრების მოზიდვა;
- პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა დამატებითი გარე ფინანსური რესურსების მოძიებით პროექტები და ა.შ.);

მოსალოდნელი საფრთხეები

- საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით მაღალი კონკურენცია საგანმანათლებლო ბაზარზე;
- დამსაქმებელთა მხრიდან მკაცრი მოთხოვნები;
- სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის პრობლემები ;
- სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება ქვეყანაში , მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონე ;
- სტუდენტთა კონტინგენტი;

ხარისხის სამსახური